რეკომენდაციები:	1.2 სკოლას მიეცა რეკომენდაცია განაცალკევოს კურიკულუმი და თემატური მატრიცა, დაეყრდნოს ესგ-ში მოცემულ სტანდარტის შედეგებს. 1.2 შემაჯამებელი დავალების ანალიზში გამოკვეთილი ზოგადი თუ სპეციფიური პრობლემების აღმოსაფხვრელად სასურველია მასწავლებელი იძლეოდეს კონკრეტულ რეკომენდაციას აქტივობის სახით. 1.4 სკოლას მიეცა რეკომენდაცია,ნაცვლად ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკებისა , კონკრეტული კომპლექსური დავალებისათვის შეადგინონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დავალებაზე დამიზნებული შეფასების რუბრიკა, სადაც კრიტერიუმები დაკავშირებული იქნება საგნის სტანდარტთან.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, კერძოდ: ერთ მისამართზე საერთო ფართი 1101.66 კვ.მ, აღნიშნული ფართი არის ფიზიკური პირის მოქალაქე საკუთრება და იჯარით გადაცემულია შპს „ლომისი-1“-ზე 2029 წლის ჩათვლით. შენობა არის ორი სართულიანი: I სართული ფართით 369.63, II სართული ფართით 386.69, სარდაფი 177.69 კვ.მ და სარდაფის ანტრესორის ფართი 168.76 კვ.მ
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, გლდანი, ხიზანიშვილის ქ. N42

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.11.12.002.03;
კვ.მ.	1101.66
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.11.12.002.03; • ამონაწერით საჯარო რეესტრიდან ; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის პირველ სართულზე (369.63 კვ.მ) განლაგებულია 5 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, დირექტორის კაბინეტი, რესურს ოთახი, დაცვის ოთახი, საიზოლაციო ოთახი, 3 სველი წერტილი. შენობის მეორე სართულზე (386.69 კვ.მ) არის 9 საკლასო ოთახი, ამავე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, ექიმის ოთახი და 2 სველი წერტილი. -შენობის სარდაფში (177,69 კვ.მ) ბიბლიოთეკა და კომპიუტერის კაბინეტი. სარდაფის ანტრესორის ფართში (155.75კვ.მ) განთავსებულია სპორტული დარბაზი შესაბამისი ინვენტარით. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა ინდივიდუალური მერხებით და სკამებით, ყველა ოთახში არის მასწავლებლის მაგიდა, სკამი და სხვა საჭირო ინვენტარი, უმეტეს საკლასო ოთახში (13 მონიტორი) განთავსებულია მონიტორი, რათა პროექტორის საშუალებით მოხდეს შესაბამისი რესურსის/ინფორმაციის მოსწავლეებისათვის გაზიარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღსანიშნავია, რომ სკოლაში არის ცენტრალური ვენტილაცია და სიგნალიზაციის სისტემა. სკოლას აქვს 316 ინდივიდუალური მერხი, 354 სკამი და 10 ორადგილიანი მერხი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასაქონლო ზედნადებები ; • ნასყიდობის ხელშეკრულებები; • საინვენტარო ჟურნალი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც მდებარეობს სარდაფის ანტრესორის ფართში. დარბაზს აქვს ფანჯარა და ფუნქციონირებს გამწოვი სისტემა. სპორტული დარბაზი აღჭურვილია ყველა საჭირო სპორტული ინვენტარით, რომელიც საშუალებას იძლევა სპორტის სხვადასხვა სახეობით დაკავდნენ მოსწავლეები (ფეხბურთის ბურთები, ხელბურთის ბურთები, ტენისის მაგიდა, ხელბურთის ბურთები, მაღალი ღერძი, დაბალი ღერძი, ტანვარჯიშის ლეიბები, კომპლექტი სავარჯიშო რგოლი, ბაგირის კომპლექტი, საბავშვო შტანგა, და სხვა). დარბაზის გვერდით არის გასახდელი, სველი წერტილი და დუში. სკოლას ესაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის საკუთრებაში არსებული საერთო საზოგადოებრივი დანიშნულების სპორტული დარბაზი, რომელსაც სკოლა აქტიურად იყენებს საგაკვეთილო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებამ წარმოადგინა გლდანის გამგეობის თანხმობის წერილი საზოგადოებრივი დანიშნულების სპორტული დარბაზის სკოლის საჭიროებისათვის გამოყენების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის ნებართვის წერილი; • ინვენტარიზაციის წიგნით; • გლდანის გამგეობის წერილით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს კაბინეტ-ლაბორატორია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საბუნებისმეტყველო საგნებში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მულაჟებით და თვალსაჩინოებით. ოთახს აქვს სველი წერტილი, ვინტილაციის სისტემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საკლასო ოთახების უმეტესობას (გარდა ერთისა) აქვს ბუნებრივი განათება. სკოლას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი წყარო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამიჯნული ტუალეტები გოგონების, ვაჟებისათვის (სულ 12 ცალი) ასევე ადაპტირებული ტუალეტი შშმ მოსწავლეებისათვის. ყველა სველ წერტილში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა საკლასო ოთახს (1 ოთახის გარდა) აქვს ბუნებრივი განათება. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, რაც საშუალებას იძლევა შენობაში, საკლასო ოთახებში, კაბინეტებში შენარჩუნებული იქნას სტაბილური ტემპერატურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	• სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, გრიფირებული სახელმძღვანელოები - 247; მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები. სკოლას აქვს წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი ანბანური კატალოგით, ასევე ელექტრონული აღრიცხვის სისტემა. სკოლაში შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკაში ქცევის წესები, რომლებიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი. ბიბლიოთეკის სივრცე კომფორტულადაა მოწყობილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ბიბლიოთეკაში ქცევის წესები; • ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი; • ანბანური და ელექტრონული კატალოგი; • ანგარიშ-ფაქტურებითა და სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისათვის პირველ სართულზე. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს დასაკეც-გასაშლელი პანდუსები, რომელთა დამონტაჟებაც ადვილად ხერხდება იმ შემთხვევაში, თუ ამის საჭიროება გაჩნდება. ამ ეტაპზე სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სსსმ-თან მუშაობის მექანიზმები; • ელექტრონული საშუალებებით ვიზუალური დათვალიერება. • ინტერვიუ
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის შიდა კომპიუტერული ქსელი, კომპიუტერული სივრცე აღჭურვილია 11 კომპიუტერით, ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტქსელში. სულ სკოლაში 19 ერთეული კომპიუტერია აქედან 8 NOTEBOOK-ი და 3 პრინტერი. სკოლას 13 საკლასო ოთახში განთავსებული აქვს მონიტორი, რომლსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. დაწესებულებას აქვს ვებ-გვერდი https://lomisi1.ge/, რომლიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი „საერო სკოლა „ლომისი 1“ „ და „საერო სკოლა „ლომისი 1“ თვითმმართველობა“, აღნიშნულ გვერდებზე აქტიურად შუქდება სკოლის კულტურული, თუ სპორტული ღონისძიებები და აქტივობები. სკოლას აქვს ელექტრონული მისამართი: schoollomisi1@gmail.com;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ვებ-გვერდი; • შესყიდვის ხელშეკრულები; • სასაქონლო ზედნადებები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზეე პასუხისმგებელი პირი. დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	მექანიზმები შენობის სართულებზე განთავსებულუა 8 ცეცხლმაქრი მუშა მდგომარეობაში. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს ,,ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები", შექმნილია სკოლის საგანგებო შტაბი, სადაც დეტალურადაა გაწერილი საგანგებო სიტუაციების დროს საგანგებო შტაბის წევრთა ფუნქცია - მოვალეობები. ასევე სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების სისტემა და ცენტრალური ვინტილაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის ხელშეკრულები; • სასაქონლო ზედნადებები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ევაკუაციის გეგმა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას ყველა სართულზე. აღნიშნული შედგენილია მოქმედი სტანდარტების სრული დაცვით, შენობის პარამეტრების და თავისებურებების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის ხელშეკრულები; • სასაქონლო ზედნადებები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. სკოლას ჰყავს მედდა, ფუნქციონირებს პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებითა და შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი (სამედიცინო ტახტი, კარადები წამლებისათვის, სველი წერტილი და სხვა). კოვიდ-რეგულაციებიდან გამომდინარე სკოლაში განლაგებულია ხელის დამუშავების აპარატები და შესყიდულია შესაბამისი ხსნარები. სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია შენობის მეორე სართულზე, საიზოლაციო ოთახი კი პირველ სართულზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • სასაქონლო ზედნადებებით; • მომსახურების ხელშეკრულებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და შემდგომაც უზრუნველყოფს სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრისN06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია „შპს ლომისი 1-ში“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ . სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პირობები; • მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები; • ინტერვიუ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში წესრიგის დაცვა კონტროლდება დამონტაჟებული კამერებით. 13 ვიდეოკამერა აკონტროლებს როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრს (2 კამერა). სკოლაში დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები შეესაბამება ,,აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • სასაქონლო ზედნადებებით; • მომსახურების ხელშეკრულებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ადმინისტრაციული და დამხარე პერსონალის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების საქმიანობა და სასწავლო პროცესი იგეგმება და ხორციელდება სკოლის წესდების, შინაგანაწესის, საქმისწარმოების წესისა და ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის შემუშავებული დებულებების შესაბამისად. მოცემულ დოკუმენტებში გაწერილია სტრუქტურული ერთეულების მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და ვალდებულებები. დოკუმენტაციის დათვალიერება-შესწავლისას გამოიკვეთა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი: სკოლის სახელწოდება სხვადსხვა დოკუმენტში ფორმულირებული განსხვავებულად: ქ. თბილისის საერო საშუალო სკოლა ლომისი / შპს ლომისი. მითითების შესაბამისად , სკოლამ ადგილზე მოახდინა აღნიშნულის ჩასწორება - შპს ლომისი 1.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის წესდება; • შინაგანაწესი; • საქმისწარმოების წესი; • სტრუქტურული ერთეულების დებულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის განვითარების ექვსწლიანი გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. დაგეგმილი ღონისძიებები და აქტივობები ეფუძნება დაწესებულების ღირებულებებსა და ხედვას. აღნიშნული გეგმები მორგებულია სკოლის მატერიალური და ადამიანური რესურსის ეფექტიანად გამოყენებასა და მათ გაუმჯობესებაზე. წლის ბოლოს, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ხდება სამოქმედო გეგმის განხილვა/შემუშავება და პრევენციული ღონისძიებების გატარება ახალი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული კორესპონდენციის აღრიცხვა. საქმისწარმოებისთვის მოქმედებს შემდეგი ჟურნალები: დირექტორის საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო წიგნი, მოსწავლეთა მობილობის ბრძანებების სარეგისტრაციო წიგნი, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის წიგნები, მშობელთან / კანონიერ წარმომადგენელთან, დადებული ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი. ზოგიერთი ჟურნალი არ იყო გაფორმებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, მაგალითად, არ იყო ზონარგაყრილი, დანომრილი გვერდებით. ვიზიტის განმავლობაში სკოლამ უზრუნველყო საკითხის გამოსწორება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესი • ჟურნალების ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის სკოლას ჰყავს 48 თანამშრომელი. მათ შორის 7 ადმინისტრაციის წევრი: დირექტორი, ხარისხის მართვისა და განვითარების მენეჯერი, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მენეჯერი, არაფორმალური განათლების მართვის მენეჯერი, მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, ბუღალტერი, იურისტი. დამხმარე პერსონალი - 13 ადამიანი: IT მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, ექთანი, 3 დარაჯი, 2 დამლაგებელი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, სკოლაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, გახანგრძლიივებული ჯგუფის აღმზრდელი. სკოლას ჰყავს 28 პედაგოგი. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის წესის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • სკოლის შინაგანაწესი; • საშტატო განრიგი; • eSchool-ის ბაზა; • 2021-2022 წლის საათობრივი ბადე; გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	28
მოწვეული/მაძიებელი	
პრაქტიკოსი მასწავლებლი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

უფროსი მასწავლებლი	28
წამყვანი მასწავლებლი	
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა მასწავლებელი ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ხელშეკრულება eSchool ბაზა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესის მიხედვით გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. სკოლაში ფუნქციონირებს თანამშრომელთა შერჩევის მიღებისა და გათავისუფლების წესი, ასევე სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს თანამშრომელთა შერჩევის მიღებისა და გათავისუფლების საკითხებს, სანქციების გონივრულ ნორმებს და წახალისების ფორმებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • თანამშრომელთა შერჩევის მიღებისა და გათავისუფლების წესი; • სკოლის დირექტორთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და ანაზღაურების წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. დაწესებულებას მასწავლებლებთან 2021 წლის სექტემბერში გაფორმებული აქვს ერთწლიანი ხელშეკრულებები .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებები; • სკოლის შინაგანაწესი; • ორგანიზაციის წესდება; • პირადი საქმეები; • გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულნი მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის ოქმებში განხილულია მასწავლებელთა თვითშეფასების და გაკვეთილის შეფასების საკითხები. გასაუბრების დროს პედაგოგები აქტიურად საუბრობდნენ კათედრების ფარგლებში თანამშრომლობაზე, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის 2021-2022 სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• გაკვეთილზე დასწრების ფორმები; • კათედრების ოქმები; • გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესის თანახმად, თითოეულ თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა კლუბები და მოსწავლეთა თვითმმართველობა, ტარდება აქტიური საარჩევნო კამპანია და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს. მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობის ფეისბუქ გვერდი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • გასაუბრება • თვითმმართველობის დებულება, ანგარიში, სამოქმედო გეგმა; • ფოტოსურათები; • ფეისბუქ გვერდი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

....

თბილისი
12.04.2022
გვერდების რაოდენობა 37

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.